— მისაღება, მისაღება! — აგუგუნდა ხალხი.

— აღსრულდეს ნება ღვთისა! — პირველი გადაისახა და ცისკენ ლაპყრო ნათელმხილვით თვალები თეთრწყვრა მოხუცმა.

გადანერვა ხალხმა პირველი და იხილა სასწაული... თბილისის თავზე დაკიდებული უზარმაზარი ვარდისფერი უკანალი შეირხა და, თითქოს ტორტი დაჭრესო, ჩვეულებრივი ზომის უამრავ უკანალად დანაწილდა. უცნაური და მხიარული ლივლივით წამოვიდნენ ისინი ციდან, დაეშვნენ ადამიანთა სიმაღლეზე და ხალხისთვის გაუბეზარი პერჩევით ჩაანაცვლეს ზოგიერთი ადამიანის თავი.

ინათა...

ქუჩებში გამოფენილ ხალხში ის ადამიანებიც ჩანდნენ, რომლებსაც მხრებზე, იქ, სადაც აქამდე თავი ედგათ, ახლა პატარა, შიშველი, ვარდისფერი უკანალი ჰქონდათ მორგებული. სქესი არ ეტყობოდათ, როგორც იმ უზარმაზარ უკანალს, ცაზე რომ ეკიდა წელან, მხოლოდ დუნდულები და ანუსის ხერეული უჩანდათ. დადიოდნენ ეს ადამიანები ქალაქში, თავიანთ თანამოქალაქეებსა და თანამოძმეთა შორის, ანუსის ხერელით იყურებოდნენ, ანუსის ხერელიდან ესმოდათ, ანუსის ხერელით სუნთქავდნენ, ანუსის ხერელით ჭამდნენ და სავამდნენ და ანუსის ხერელითვე აზროვნებდნენ.

ტოლერანტობითა და მიმტეველობით ვანთქმული თბილისელები ერთგვარი სიბრალულის გრძნობით შეჰყურებდნენ ადამიანებს, რომლებსაც მთელი ცხოვრება ღმერთის მიერ მოვლენილი სასჯელის საშინელი დამლა უნდა ეტარებინათ. ხალხს ის უეკირდა, ეს ცოდვის შვილები მათთვის განგების მიერ ნაქადაგებელი უბედურების გამო შენუხებულნი რომ არ ჩანდნენ, პირიქით, ამაყობდნენ კიდევ, რადგან სასაცილოდ და სამარცხვინოდ ისინი მიაჩნდათ, ვინც ღმერთით დანესებულს, ტრადიციად ქცეულსა და ეკლესიის მიერ ნაქადაგებ ნესებს მისდევდა. მათ ჰომოსექსუალთა ამორიკული და ევროპული ორგანიზაციებიდან მალაღობის სტიქნიდები და უნიშნეს და თავს (უკაცრავად, უკანალს) ბედნიერად გრძნობდნენ. დანარჩენი თბილისელები კი დადიოდნენ — ზოგი უმუშევრად და უხელოვანად, ზოგი შეურაცხყოფილად მწირი პენსიის ამარა დარჩენილი, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ უზარმაზარი, შიშველი, ვარდისფერი უკანალი აღარ ეკიდა თბილისის თავზე. მის ნაცვლად ზაფხულის განახნახებული მზე ბარჩხალვდა, რომელიც არამხოლოდ წყალდიდობისა და ქარიშხლის მიერ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ადამიანური უგუნურების გამო დანგრეულ და გაუბედურებულ ქალაქს იმედის სხივებს ჰუფენდა.

**ხალხი დაღლილობისა და ნაკვირვალისგან მისაათიჯული იყო, თუმცა ადგილიდან არავინ იძროდა. მთვარე არ ამოსულა. უფრო სწორად, ამოვიდა, მაგრამ თბილისის თავზე ჩამოხვრილი, უზარმაზარი, შიშველი უკანალი ეფარებოდა და მისი სხივები მინაზე ვერ აღწევდა. ჩვეულებრივზე მეტად ბნელი იყო. მობილური ტელეფონების ეკრანებით ანათებდნენ წყვილად.**





**გაეროების მსხვერპლი**



www.geworld.ge  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გუნებრივი აირის მილსადენზე ამერიკულ-გერმანული გარიგების შედეგების გამოცხადების წინ აშშ-ის ადმინისტრაციამ რეკომენდაციის სახით მიუთითა კიევს, ხმაური არ აეტიხა „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის გარშემო, გაიდენმა კი განაცხადა, რომ პროექტი 99%-ით არის შესრულებული და მისი შეჩერება შეუძლებელია.**



აშშ-მა და გერმანიამ განაცხადეს, რომ დაინტერესებულნი არიან „ბუნებრივი აირის ტრანზიტი უკრაინის გავლით გაგრძელდეს 2024 წლის შემდეგ“. გერმანია ვალდებულია „დაიცვას ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის ენერგეტიკული პაკეტის ყველა პუნქტი, რათა უზრუნველყოს მესამე მხარის ხელმისაწვდომობა“. აქ იგულისხმება, რომ მილსადენში შეიძლება გაიაროს არა მხოლოდ რუსულმა ბუნებრივმა აირმა.

უკრაინამ უნდა გამოიყენოს ყველა ხელმისაწვდომი ბერკეტი უკრაინისა და რუსეთს შორის ბუნებრივი აირის ტრანზიტის შესახებ ხელშეკრულების 10 წლით გასაგრძელებლად. მათ შორის, დანიშნოს წარმომადგენელი ამ მოლაპარაკებების მხარდასაჭერად, რომელიც უნდა დაიწყოს არაუგვიანეს 1 სექტემბრისა.

ამერიკულ-გერმანულ დოკუმენტში კონკრეტულად არ არის სიტყვად არც ერთი ნათქვამი, როგორ უნდა აიძულონ დასავლელმა მოკავშირეებმა „გაზპრომმა“, 10-წლიანი ხელშეკრულება გააფორმოს კიევთან. ამ გარემოების შესაძლებულებლად გამოცხადდა უკრაინისთვის „მწვანე“ ენერგეტიკის მხარდაჭერის შესახებ. გერმანია შექმნის 1 მლრდ დოლარის „მწვანე“ ფონდს, მაგრამ თვითონ ამ ფონდში ჩადებს ძალიან მცირე თანხას — 175 მლნ დოლარს, ხოლო, კიდევ ვის მოუხდება კიევის დახმარება ფულით, გაურკვეველია.

ბუნებრივი აირის მილსადენზე ამერიკულ-გერმანული გარიგების გამოცხადების წინ აშშ-ის ადმინისტრაციამ რეკომენდაციის სახით მიუთითა კიევს, ხმაური არ აეტიხა „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის გარშემო, გაიდენმა კი განაცხადა, რომ პროექტი 99%-ით არის შესრულებული და მისი შეჩერება შეუძლებელია.

რჩება შთაბეჭდილება, რომ კიევის რეჟიმს მსოფლიოში ანგარიშს არავინ უნებს. ეს აღიარა თვით უკრაინის საგარეო

რეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა პავლე კლიმენჩუკმა, რომელმაც თქვა, რომ ქვეყანა „თამაშგარე მდგომარეობაშია“ და „არ არის არათუ შედეგის, არამედ პროცესის ნაწილი“, ეს კლიმენჩუკმა მხოლოდ ახლა შეამჩნია.

ოპოზიციურმა პლატფორმამ „სიცოცხლისთვის“, თავის მხრივ, განაცხადა: „**ჩაქვინსკი და მისი უნიჭო მთავრობა უნდა გადადგას უკრაინის მთავარი ენერგეტიკული აქტივის დანარჩენის გამო, აგრეთვე, მრავალი წლის განმავლობაში უზარმაზარი ეკონომიკური დანაკარგებისა და ძველსა და ახალს შორის სტრატეგიული პოლიტიკის განადგურების გამო**“. ყველაფრის მიუხედავად, უკრაინაში პოლიტიკური ძალების განლაგების გათვალისწინებით, კიევის რეჟიმის ალტერნატივა ჯერჯერობით არც ისე ადვილი მოსაძებნია.

უკრაინის პრეზიდენტის ოფისის მრჩეველმა **მიხაილ პოდკოლიაქმა** გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეთანხმებას „ჩარჩო“ ხელშეკრულება უწოდა. თითქოს ყველაფერი იმაზე დამოკიდებული, კონკრეტულად „როგორი ნაბიჯებით შეიძლება გამოცხადებული პუნქტები“, მაგრამ უკრაინის არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეს. **ჯო გაიდენმა თავისი შესვლასთან დაკავშირებით უკრაინის პრეზიდენტს უკრაინის პრეზიდენტთან შეხვედრა გოლო ადგილზე გადასწია — ვაშის**

# უკრაინა თამაშგარე მდგომარეობაში

**აშშ-მა გერმანიასთან ერთად დაიწყო უკრაინის პრობლეების მოგვარება უკრაინის გარეშე, კერძოდ, გუნებრივი აირის მილსადენ «ჩრდილოეთის ნაკადი-2»-ზე გერმანიისა და უკრაინის შორის არსებული უკრაინისთვის არსებული პრობლემების შესახებ.**



საზღვარგარეთელ პოლიტიკოსებს მოეზრდათ კიევის ტყუილები, უკრაინის ფინანსთა მინისტრ სერგეი მარჩენკოს განცხადებამ, საერთაშორისო დონაზე უკრაინის მიერ მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს, თვითონ

სავალუტო ფონდში გამოიწვია გაოცება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კომუნიკაციების დეპარტამენტის დირექტორმა ჯერი რაისმა, რომელიც შეცბუნებას ძლივს მალავდა, კიევს პირდაპირ განუცხადა, რომ „პროგრამის

ნებონი დიდხანს ატანა რაზა თეთრი სახლის მეთაურისა და უკრაინის პრეზიდენტის შეხვედრას, ყოყმანოვანად — ივნისში დაინიშნა თუ აზვისტოს დასაწყისში, საბოლოოდ კი შეხვედრა 30 აპრილს დაინიშნა.

ამ თარიღისთვის ბუნებრივი აირის მილსადენის მშენებლობა საბოლოოდ დასრულდება, ხოლო კონგრესი 20 სექტემბრამდე არ დადგება იქნება, შედეგად ზელენსკის აშშ-ში ვიზიტი სარგებელს ვერ მოიტანს. როგორც უკრაინელი პოლიტოლოგი **ვიტალი ბაქა** ამბობს, „ზელენსკის ვიზიტები ჰგავს პოლიტიკურ ტერორიზმს. ბევრი სხვადასხვა დაპირებაა, საბოლოოდ კი არაფერი ხდება“.

პირველი გადახედვის დასასრულებლად ზოგიერთ სხვა სფეროში დიდი პროგრესია აუცილებელი“.

უკმაყოფილება ვერ დამალეს ვაშინგტონშიც ბაიდენსა და ზელენსკის შორის უკრაინისთვის ნატოში შესვლის სამომავლო გეგმის მიცემის შესაძლებლობაზე სატელეფონო საუბრის თავისუფალი ინტერპრეტაციის გამო. ვაშინგტონის კიდევ უფრო მეტი უკმაყოფილება გამოიწვია სამხრეთი საკონტაქტო ჯგუფის მოლაპარაკებებისას უკრაინის დელეგაციის სპიკერ ალექსეი არესტოვიჩის განცხადებამ, რომ აშშ-ის პრეზიდენტის გუნდში უკრაინის საკითხზე განხილვები ხდება და, თუ დასავლეთი არ გაითვალისწინებს უკრაინის ინტერესებს, ქვეყანა ნაფა აღმოსავლეთისაკენ — ჩინეთის, თურქეთის, ვიეტნამის, გაერთიანებული არაბული საამიროებისა და სხვა ქვეყნების მხარეს.

ზოგიერთი პოლიტოლოგის აზრით, დასავლეთში ზელენსკის გუნდი შეიძლება „არასერიოზულ ადამიანებად“ ჩათვალოს, თუმცა რატომ შეიძლება უკრაინის პრეზიდენტის გარემოცვას, დიდი ხანია, ასეთად მიიჩნევენ, ხოლო შიში იმის გამო, რომ „უკრაინა შეიძლება, თამაშში არ ჩაერთოს“, დავიანებულია. უკრაინა, კარგა ხანია, თამაშგარე მდგომარეობაშია.

rusdozor.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ბიორაზი განაჩინილიაქმა



აშშ-სა და გერმანიის შორის 21 ივლისს მიღწეული შეთანხმების შედეგად ვაშინგტონში უარი განაცხადა პროექტ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ისთვის წინააღმდეგობის შექმნაზე და დათანხმდა მის საბოლოო რეალიზაციას. გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელისთვის, რომელმაც შეძლო გააფორმებული წინააღმდეგობის

განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ რიგით გერმანელებს, რომლებმაც მერკელი „მოქალაქეების გადასახადების არასწორად ხარჯვაში“ დაადანაშაულეს. „ეს შეთანხმება აჩვენებს,

# რიგით გერმანელებს არ სურთ უკრაინის «მწვანე» ენერგეტიკის დაფინანსება

როგორი მნიშვნელობა აქვს გერმანიას, როგორც უახლოეს პარტნიორს, გაიდენის ადმინისტრაციისთვის, — წერს Der Spiegel-ი, — ერთობლივი განცხადებებიდან, აგრეთვე, ჩანს, რომ გერმანიისა და ვაშინგტონის განხორციელებული პუნქტები, მაგრამ უკრაინის არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეს. **ჯო გაიდენმა თავისი შესვლასთან დაკავშირებით უკრაინის პრეზიდენტს უკრაინის პრეზიდენტთან შეხვედრა გოლო ადგილზე გადასწია — ვაშის**

ნის ენერგეტიკული სექტორის ტრანსფორმაციისთვის „მწვანე“ ფონდში 150 მლნ ევრო შეიტანოს და ინვესტიციების დონე ნელ-ნელა 1 მლრდ-მდე გაზარდოს. მაგრამ ის, რომ შეთანხმება არ ითვალისწინებს ფინანსური დახმარების მკაფიო მექანიზმს, როგორც ის გარემოება, რომ ამ ინვესტიციების დიდი ნაწილი კერძო სექტორმა უნდა განახორციელოს, გერმანელთა უკმაყოფილებას იწვევს. გერმანიის „მწვანეთა პარტის“ წარმომადგენელ რალფ ფუქსის განცხადებით, „ის, რასაც ფედერალური მთავრობა მიიჩნევს დიპლომატიურ ნარმატებად, არის მხოლოდ კომპრომისი, რომელსაც უკრაინისა და კლიმატის ხარჯზე მიაღწიეს“. რიგითი გერმანელები კი უკმაყოფილებას ვერ მალავენ იმის გამო, რომ მათმა ქვეყანამ უკრაინის ბიუჯეტიდან უნდა გადააღწიოს თანხა არაფრის კეთებაში.

eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა პანისურაქმა

**გეოგრაფიკული-  
ჩიხვის კრიზისი**



www.geworld.ge  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იზაბელ ლასერს მიაჩნია, რომ პრობლემა გაცილებით ღრმავა — 2021 წლის ევროპა ხომ სრულიად არ ჰგავს 1990-იანი წლების ევროპას. იმხანად, ცივი ომის დასრულების შემდეგ, ყველა სავსე იყო ოპტიმიზმითა და იმედით. დღეს კი ევროკავშირს ხლეჩს პრობლემები და მათ შორის ყველაზე დიდი პრობლემა სულაც არ არის რუსეთთან ურთიერთობა.**



# Le Figaro: ევროკავშირი დასავლეთად და აღმოსავლეთად იხლიჩება

## ბრიუსელში არაფინ ელოდა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები თავიანთი პოზიციას ასე თავბაზობით დაიხვეწენ

„გერმანია და საფრანგეთი ოდესღაც საკმაოდ ძლიერმოხილი სახელმწიფოები იყვნენ იმისთვის, რომ თავიანთი გადაწყვეტილებები ევროკავშირის სხვა წევრებისთვის მოეხებოდათ თავს. დღეს ყველაფერი შეიცვალა — ეს ნათლად წარმოაჩინა 25 ივნისის მოვლენებმა, როცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები წინააღმდეგი გამოვიდნენ გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგაზე, შეხვედრად რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს. არადა, ორივე წლის წინათ ამ ორი სახელმწიფოს სიტყვა ყველა „ახალწვეულისთვის“, მათ შორის „პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის კანონი იყო“, — წერს პოპულარული ფრანგული ყოველდღიური გაზეთი Le Figaro.



სალვინი, ლე პენი და ორბანი

ფრანგული გამოცემა აღნიშნავს, რომ „ახალწვეულებში“ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები იგულისხმება. დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ ეს ქვეყნები ევროკავშირში მოსვლიდან ბედნიერი უნდა ყოფილიყვნენ და მათ მეტი არაფერი სჭირდებოდათ, მაგრამ დღეს ცხადია, რომ ეს იყო დროებითი ილუზია, რომელიც თანდათან ქრება.

„ჩვენ გვეგონა და საბჭოთა კავშირის დანგრევის მომენტი არასწორად გვეგონა, რომ საბოლოოდ და სამუდამოდ გავიმარჯვეთ. ახლა კი ვხედავთ, რომ თვითონ ევროკავშირის შიგნით დაიწყო კამათი და დაპირისპირებები“, — მოჰყავს Le Figaro-ს საფრანგეთის ეროვნული საკრებულოს საერთაშორისო საქმეების კომიტეტის ხელმძღვანელ შან-ლუი ბურლანდის ციტატა.

რატები დემოკრატებზე უფრო ეფექტიანები აღმოჩნდნენ, რაც ევროკავშირისთვის დარტყმა იყო.

ამ მიზეზების გამო „ევროკავშირის დამფუძნებლებს“, ესენი კი არიან საფრანგეთი, გერმანია, ბელგია და სხვა დასავლური ქვეყნები, უკვე აღარ შეუძლიათ, ევროკავშირის დანარჩენი ქვეყნების მხარდაჭერა მოიპოვონ, ლაპარაკი აღარ არის მათთვის რამე გადაწყვეტილების თავსმოხვევაზე.

ამას ანგელოზებდა „ერთმანეთისადმი ნდობის დაკარგვა“ უნდა.

მაგრამ სტატიის ავტორ იზაბელ ლასერს მიაჩნია, რომ პრობლემა გაცილებით ღრმავა, 2021 წლის ევროპა ხომ სრულიად არ ჰგავს 1990-იანი წლების ევროპას. იმხანად, ცივი ომის დასრულების შემდეგ, ყველა სავსე იყო ოპტიმიზმითა და იმედით. დღეს კი ევროკავშირს ხლეჩს პრობლემები და მათ შორის ყველაზე დიდი პრობლემა სულაც არ არის რუსეთთან ურთიერთობა.

**La France et l'Allemagne ne font plus la loi en Europe**

ANALYSE - Pendant longtemps, les deux pays de l'UE ont cru qu'il serait facile d'imposer leurs valeurs aux nouveaux venus. Une illusion qui vole en éclats.

Par Isabelle Lasserre

Publié le 06/07/2021 à 19:45, mis à jour hier à 09:40

ევროპის ნახევარი ევროკავშირის მიერ თავსმოხვეულ მულტიკულტურულ განიხილავს, როგორც ანტიეტალის თავისი ქვეყნების, და მულტიკულტურის რეკომენდაციების სანაღმდეგოდ მოქმედებს“, — წერს ლასერსი.

„კიდევ ერთი გამყოფი ხაზია ზნეობა და სექსუალური ქცევები“, — წერს Le Figaro. დასავლეთ ევროპაში ყველა მიიჩნევს თავს პროგრესულად, იცავს ტრანსგენდერებსა და წინააღმდეგი არ არის ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების. აღმოსავლეთ ევროპაში ამის გაგონებაც კი არ სურთ. უნგრეთი მარტო არ არის ამ პროტესტში. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ევროპის პარლამენტში შეიქმნა ნა-



**საფრანგეთისა და გერმანიის მცდელობები, აეშულებინათ აღმოსავლეთი ევროპა, დათანხმებულიყო მიგრაციული ტვირთის განაწილებას და „პოლონური“ ან „უნგრული“ კვოტებით მიღწეული მიგრანტები, ფუჭი აღმოჩნდა. ევროპის ნახევარი ევროკავშირის მიერ თავსმოხვეულ მულტიკულტურულ განიხილავს, როგორც ანტიეტალის თავისი ქვეყნების და სწორედ მულტიკულტურის რეკომენდაციების სანაღმდეგოდ მოქმედებს**

არც ისე დიდი ხნის წინათ ევროპის „ძველი“ ქვეყნები დარწმუნებული იყვნენ, რომ აქვთ უფლება და შეუძლიათ, თავიანთი დემოკრატია თავს მოახვიონ მსოფლიოს, მაგრამ ამ თავდაჯერებულობისგან ბევრი არაფერი დარჩა. „ჩინეთისა და რუსეთის ავტორიტარული ხელისუფლებებიც ყველა ფრონტზე ავიწროებენ ევროპას, — აღნიშნავს გამოცემა, — და ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ავტოკ-

ციონალ-პატრიოტების აღიანსი, რომელშიც შევიდა არა მხოლოდ უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანი, არამედ ფრანგი პოლიტიკოსი მარინ ლე პენი და იტალიის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი მატეო სალვინი.

ამას გარდა, ევროკავშირში უთანხმოება წარმოიქმნა ისტორიისა და გეოგრაფიულ კი. საქმე ის არის, რომ ბასული საუკუნის ისტორიული ტრაგედიების მიმართ ხსოვნა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას განსხვავებული აქვთ და ამას ვერაფერს უხარხვებენ. „მას ვერაფერს შეეძლოს“, — ხაზს უსვამს იზაბელ ლასერსი, მაგრამ ყველა ეს წინააღმდეგობა, ერთად აღებული, ევროპას განსაზღვრავს თავისი თავისი პოზიციის საფუძვლად არა სხვა მნიშვნელობის საზღვარზე, არამედ ცალკეულ ოჯახებზე გადის. არადა, შან-ლუი ბურლანდის აზრით, „ევროკავშირის ფუნქციონირება შეუძლია მხოლოდ საერთო კონსენსუსის ბაზაზე“, რომელიც დღეს არ არსებობს.

„ევროპის აღმოსავლეთში აშკარად მნიშვნელოვანია ევროკავშირის გრანდების წინააღმდეგ, ამბოხის ჩასახშობად და ცალკეული ქვეყნების მხრიდან დადებული ვეტოს დაძლევა უფრო სერიოზული რამ დასჭირდება, ვიდრე უბრალო უმრავლესობით კენჭისყრა.

არ შეიძლება იმის დაშვება, რომ ევროპის ორი ნაწილი იყოს ორი უკიდურესად დაპირისპირებული ნაწილი, რომელიც ერთმანეთისთვის თვალის გასწორება არ შეუძლიათ“, ასკვნის Le Figaro.

pravdoryb.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელა



# ევროსაბჭოს ყოფილა პრეზიდენტმა ევროკავშირს დასულა უწინასწარგებულა

ევროსაბჭოს ყოფილი ხელმძღვანელის, დონალდ ტუსკის, განცხადებით, ევროკავშირს დასულა ემუქრება. პოლიტიკოსის თქმით, „თუ გაერთიანების სხვა წევრებიც გაიზიარებენ ვარშავისა და ბუდაპეშტის მაგალითს, რომლებიც ბრიუსელს დაუპირისპირდნენ, ევროკავშირმა არსებობა შეიძლება შეწყვიტოს“, — იუწყება გამოცემა Daily Express-ი.

ევროსაბჭოს ყოფილი პრე-

ზიდენტის, დონალდ ტუსკის, თქმით, დაპირისპირებებმა, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპაში მნიშვნელოვანია, შეიძლება გამოიწვიოს პროცესის დაწყება, რომელიც ბლოკს დაშლის. ვარშავისა და ბუდაპეშტის თვალსაზრისი ისეთ საკითხებზე, როგორც არის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და პრესის თავისუფლება, განსხვავდება ბრიუსელის თვალსაზრისისგან.

ტელეინტერვიუში, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ჩამოართვეს, ტუსკმა იწინასწარმეტყველა, რომ, თუ პოლონეთსა და უნგრეთს ევროკავშირის კიდევ რამდენიმე წევრი მიბაძავს, ევროკავშირის დაშლა დაიწყება.

ევროპის კომისიამ სასამართლო პროცესი დაიწყო უნგრეთის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ბუდაპეშტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვით სკოლებში იკრძალება ისეთი

მასალების გამოყენება, რომელიც პრომოსექსუალიზმის პროპაგანდას ემსახურება. მოგვიანებით ევროკომისიამ, აგრეთვე, წამოიწყო სასამართლო პროცესი პოლონეთის წინააღმდეგ, რომელმაც ქვეყანაში შემოიღო „ლგბტ პროპაგანდისგან თავისუფალი ზონები“.

russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძე



# აქაზაჩი ინტერვიუ



www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1930 წელს ვსაქოლოდ მარკულოვა (სახელმწიფო უშიშროების 1-ლი რანგის კომისარი, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე 1921-1938 წწ.) ბერიას წერილი მისწერა: „ამ ვრცელდება ხმაები თქვენი ტფილისიდან წასვლის შესახებ... თხოვნით მოგმართათ: არ დამივიწყოთ. იმ შემთხვევაში, თუ მართლა გადაწყვიტა ამიერკავკასიის დატოვებას, ძალიან გთხოვთ, წამიყვანოთ თქვენთან, იქ, სადაც იქნებით. ქალაქი და სამსახურებრივი მდგომარეობა არ მაინტერესებს — მზად ვარ, ვიმუშაო თქვენ გვერდით“.**

ხვა მასალას, არა ხანერ, არამედ ჩვეულებრივ მაგისტრანს, მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერი კაბინეტი ჰქონდა მინ მოწყობილი. როგორც წესი, ხელში ფანქარი ჰქონდა მომარჯვებული და ამონაწერებსა და შენიშვნებს აკეთებდა მუდამ. დღეში 300-400 გვერდს კითხულობდა — დანაწევრებული უშიშროების მასალებით და დასრულებული საკავშირო სააგენტოების ინფორმაციების ჩათვლით. მკითხველი, ალბათ, იფიქრებს — რა თქმა უნდა, შვილი მამის უნიკალურ და გამორჩეულ ნიჭზე წერს და ინტელექტუალური ადამიანის პორტრეტს გვიხატავსო. გიპასუხებთ: **ჩვეულებრივი ადამიანი მსოფლიო რევოლუციური ხელში ვერ შეიძლება დატაკი საქართველოს გადაქცევას სსრკ-ის ერთ-ერთ მდიდარ რესპუბლიკად, სულ რაღაც, უმოკლეს დროში. ჩვეულებრივ ადამიანი, თუნდაც რევოლუციური ხელში, ვერ განახორციელებდა ატომურ პროექტს... და არ დაგვიწყდით, რომ ბერიას უმაღლესი განათლება დასრულებული არ ჰქონდა, რაზეც ესოდან შესტკიოდა გული.**



„ფიქრობ, ჩემი წასვლა ამიერკავკასიიდან უკეთესი იქნება, — წერდა ბერია ორჯონიკიძეს, — მე 10 წლის განმავლობაში სახელმწიფოს პოლიტიკურ ორგანოებში (ПЦУ) მუშაობით თვალში ვერხირები არამხოლოდ ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციურ ელემენტებს, არამედ ზოგიერთ ჩვენს ამხანაგსაც კი. რამდენი ადამიანი მიესალმება ტაშით ჩემს წასვლას, რამდენი მოვაბეზრებ თავი მუდმივი კონტროლითა და ნაკლოვანებების გამოაშკარავებით. მათ უნდოდათ, რომ ნაკლი დაფარული ყოფილიყო. აქ, ირგვლივ იმდენი დეფექტი და ლაფსუსია“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ყოველთვის იყო ახლო ბლური ურთიერთობა და რევოლუციის შემდეგაც ასე მოხდა. რას ვგულისხმობ? იმას, რომ ბატონები კი შეცვალეს პარტიულმა მუშაკებმა, მაგრამ ნათესავეები ხომ კვლავ დარჩნენ ნათესავეებად, ურთიერთობები — ურთიერთობებად, რომლებიც რევოლუციონებოდა მეგობრობით, ნათესაობით, ჯგუფური ინტერესებით, სხვადასხვა კავშირით და მხოლოდ ბოლოს(!) — საქმით. ბევრ უპიზოდში ლავრენტი ბერიას სწორედ მაშინ ამბობდა სიმართლეს, როცა, გუნდური კანონის თანახმად, უნდა გაჩემებულიყო. და, როგორც ვიცით, არ ჩუმდებოდა... ბერიას სიტყვებს მოვიშველიებთ: **„იწყებან ყველა ისტორიის ჩამთხან დაკავშირებას, რაც კი ოდესმე მომხდარა საქართველოსა თუ აზიურკავკასიაში. წავიდა ამხანაგი ქართველი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მგზავლობა იმ. წავიდა ამხანაგი მამია (კავკასიის საოლქო კომიტეტის 1 მდივანი), უთითებან ჩაგვა. მოხსნან ბაქოელი ამხანაგები — ესაც იმ ვარ. მრავალი ამხანაგის აზრით, იმ ვარ ყველა იმ უბედურების თანადათავი, რაც ბოლო ხანს დაატყდათ თავს. გამოდის, იმ ვარ**

ლუბის გამგე 1921-1938 წწ.) ბერიას წერილი მისწერა: „ამ ვრცელდება ხმაები თქვენი ტფილისიდან წასვლის შესახებ... თხოვნით მოგმართათ: არ დამივიწყოთ. იმ შემთხვევაში, თუ მართლა გადაწყვიტა ამიერკავკასიის დატოვებას, ძალიან გთხოვთ, წამიყვანოთ თქვენთან, იქ, სადაც იქნებით. ქალაქი და სამსახურებრივი მდგომარეობა არ მაინტერესებს — მზად ვარ, ვიმუშაო თქვენ გვერდით“.

წერილის შინაარსი უფრო მარტივად რომ გავიგოთ, ცოტა ხნით დავივიწყოთ ბერიას მომავალი დანიშნულებები და რჩება ერთი ფაქტი: მერკულოვს არ შეიძლება სცოდნოდა, რა დანიშნულებები ელოდებოდა ლავრენტი ბერიას მომავალში, ასე რომ, აქ არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ის ცდილობს, მიეტმანოს პერსპექტიულ მუშაკს, რომელსაც წინ ელოდება დიდი კარიერა. ის, უბრალოდ, ხედავდა იმას, რაც ხდებოდა იმხანად ბერიას გარშემო — ბერია უსიამოვნებებშია, მასზე კბილებს ილესავს გავლენიანი ადამიანების უმეტესობა და იწყება მისი დევნა (როგორც რუსები იტყვიან, травля). ასე რომ, გამორიცხულია, მერკულოვს სცოდნოდა, რომ მოსკოვში ბერიას საქმე სასიკეთოდ წავიდოდა.

1931 წელს ლავრენტი ბერია ერთდროულად ხდება საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი და ბოლშევიკების საკავშირო კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მეთორე მდივანი, ხოლო ერთი წლის შემდეგ — ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. მოგეხსენებათ, სტალინი კარგად იმასსოვრებდა საქმიან და ნიჭიერ პოლიტიკურ ორგანიზატორებს, მაგრამ არც ისე კარგად იცნობდა ბერიას, თვითონ რომ მიელო ასეთი გადაწყვეტილება — სვეცსამსახურის უფროსი რესპუბლიკის ხელმძღვანელად დაენიშნა. პოლიტიკურის ნეერებიდან ბერიას იცნობდნენ მხოლოდ **ორჯონიკიძე** და **პიროვი**, თუმცა კიროვი 1926 წლიდან ლენინგრაღში მსახურობდა და შორს იყო კავკასიის საქმეებისგან; ასე რომ, ბერიას კანდიდატურა სტალინის უეჭველად ორჯონიკიძემ წარუდგინა. მეორე მხრივ, ვითარება საქართველოში საგანგაშო იყო. **ამბროსე, გარიამ ინტრიგების მთავარი** და **ამსახურებრივი რევოლუციონერი** შიილიაბა ასაც იყო და „ჩაჩოჩა“, მაგრამ არა ინტრიგებით, არამედ საქმიანად და ის ბარამოვა, რომ ბერია იყო ერთ-ერთი სტალინელი, ესაც გასათვალისწინებელია და იმის არც ინვესტი. დიხა, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, საჭირო იყო ერთგული სტალინელის დაყენება რესპუბლიკის სათავეში, და, თუნდაც ჩაიხსინ. საბოლოო ჯამში, არაფერი რომ არ გააკეთებინა ბერიას საქართველოს ეპოქისთვის, საქართველოს რუსეთი რომ მოეპოვებინა, მაგრამ ეს იყო უშიშროების ნაბიჯი, პირველ რიგში, სტალინის გულად... და ეს ყველაფერი გაკეთდა 1918 წელს.

## 2021 წლის 25 ივლისს ჩავს კავს, ბერიას ონიანს 85 შეუსრულდა!

### კიდევ თხუთმეტი ლექსს მოგიკლვნი...

ვერ ისვენებს, ბორგავს ქარი, გულზე მძიმე დარდი აწევს, ჩამოსულა სვანეთიდან და ურეკში ტალღას არწევს...

ეხეთქება სადაც კლდეებს გეძებს მთაში, გეძებს ბარად, შენი სულის ნაწილია. სურს, რომ შენთან იყოს მარად.

აფრა ჩამოფხრინა ყველას — გეშია თუ ბორანია, თეთნულდიდან დაძრულია, უშუბას ნაამბორალია...

წამო, ავეყვით სვანეთისკენ, თოფით დავერიოთ ვერძებს, დაგვეკარგე, ვერ გპოულობთ, მე და ქარი ერთად გეძებს.


განმარტოვდი ყველასაგან, შემდგარი ხარ თითქოს ბერად, თუმც მუშლივით დაგსევია, წლებმაც ვეღარ დაგაბერა.

ამ თაობამ შენგან იცის ბორგვა ბნელის და უკუნის, მაჯებზე გაქვს დახვული მატყინე საუკუნის.

შეეყარა ეს თაობა სენს მძიმეს და განუკურნებს... შენთან ერთად მოაბიჯებს ორი დიდი საუკუნე.

ახლა შენს წინ ზღვალივლივებს შავად, ვერცხლისფრად და ლურჯად, შენ იმ კაცის გახდი ბურჯი,

ვალერი კვარაცხელია 2021 წლის 25 ივლისი



## ყურადღება!

„გიგლუსის“ მალაზიანთა ქსელები შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, პატრონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ 80-6 ტომი, რომელიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალაზე კაცობრიუბის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

Table with columns: Районы, 1926, 1939, 1959, 1979, 1989, 1999, 2009, 2019. Rows include districts like Батумский, Абхазский, etc.

ლავრენტი ბერიას ბლოკნოტი, რომელიც დაწერილია ალანარილი ჩანის და სხვა სუბტროპიკულ მცენარეების მოწვევებით (ესაქონატი ბრიგოლ ონიანის მუშაობიდან)



www.geworld.ge  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ერთ დღეს ჟურნალისტები მიხვდნენ, რომ მათ გუშაობას აკონტროლებდნენ. მათ საიდუმლოდ შეკრიბეს აქტივისტების საერთაშორისო ჯგუფი და შეიმუშავეს ბაიოპროფილის გეგმა. უნდა ითქვას, რომ გეგმის განხორციელება შედეგი გამოიღო — ჟურნალისტებმა სპეცსამსახურებს მოუგეს! სხვათა შორის გეგმის დეტალები დღემდე უცნობია. ჯგუფი არ ასაჯაროებს მონაცემებს მოპოვების არხებს და გასაგებია, რატომაც. ვილამ კალი-ან რისკავდა, რომ ჟურნალისტებს საიდუმლოდ მონაცემებს გადასცემდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ჯგუფის მონაცემები გამოაჩვენეს, რომ უკანონოდ უსმენდნენ არა მხოლოდ მათ, არამედ სხვა უამრავ ადამიანს. ზედმეტი რაიმე ამოტივტივდა ევროკავშირის სპეცსამსახურებს უფლებები და მცველებს, პროფკავშირების აქტივისტებს — ეს კონსტიტუციისა და სხვა კანონების პირდაპირი დარღვევაა.

ევროპაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ფრანგებს ჩაამწარეს წმინდა დღესასწაული — ბასტილის აღების დღე. ამ დღეს პარიზში გაიმართა პომპეზური სამხედრო აღლუმები ცხენებითა და თვითმფრინავებით, სიმღერა „მარსელიოზის“ შესრულებითა და მასობრივი გასართობი ღონისძიებებით ნიღბებში.

მოკლე განმარტება, რას ზემოქმედებდა ფრანგები: 1789 წლის 14 ივლისს, ბასტილის შტურმისას სიმბოლური მოვლენა მოხდა: თავგადაკულმა მონარქისტმა, ბასტილის ციხის კომენდანტმა ბარნარ რანე დე ლონე არ მოისურვა გააფთრებული მებრძოლებისთვის ციხის კარის გაღება, მიუხედავად იმისა, რომ იქ დასაცავი არავინ იყო — მხოლოდ რამდენიმე წვრილი თაღლითი იჯდა. ბასტილის კარი კომანდორის, გაჯიუტებულ კომენდანტს თავი მოჰკვეთეს, შუბზე წამოაგეს და პარიზის ქუჩებში დაატარებდნენ. ბრბო აღტაცებული იყო, ეს ყველაფერი გადაიზარდა თავისუფლებაში, თანასწორობასა და ძმობაში.

და ახლა, სადღესასწაულო დღეებში მოულოდნელად გამოჩნდა ჯგუფი მწარე უკანონო, რომლებმაც ყველაფერი გააფთხეს. ეს ადამიანები ბრაფიტის უცნობი შემთხვევები რომ ყოფილიყვნენ, კიდევ არაფერი, მაგრამ ისინი არიან ცნობილი ჟურნალისტები ისეთი პოპულარული გაზეთებისა, როგორებიც არის „ზიუდლოიჩე სანიტუნი“, „სანიტი“, „ბარდინი“, ამერიკული „ვაშინგტონ პოსტი“, გერმანული ტელეარხები NDR-ი, WDR-ი და კიდევ სხვა 15 რადიოცენტრი, რომლებმაც გამოაქვეყნეს ბაიოპროფილის შედეგები, რომ არანაირი ქმობა, მით უმეტეს თანასწორობა და თავისუფლება ევროპაში არ არის, არამედ არის ნებისმიერ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანზე ტოტალური კონტროლი.

როდის დაიწყო ეს ყველაფერი? დაიწყო იმით, რომ ერთ დღეს ჟურნალისტები მიხვდნენ: მათ მუშაობას აკონტროლებდნენ. მათ საიდუმლოდ შეკრიბეს აქტივისტების საერთაშორისო ჯგუფი და შეიმუშავეს ბაიოპროფილის გეგმა. უნდა ითქვას, რომ გეგმის განხორციელება შედეგი გამოიღო — ჟურნალისტებმა სპეცსამსახურებს მოუგეს! სხვათა შორის გეგმის დეტალები დღემდე უცნობია. ჯგუფი არ ასაჯაროებს მონაცემებს მოპოვების არხებს და გასაგებია, რატომაც. ვილამ კალი-ან რისკავდა, რომ ჟურნალისტებს საიდუმლოდ მონაცემებს გადასცემდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ჯგუფის მონაცემები გამოაჩვენეს, რომ უკანონოდ უსმენდნენ არა მხოლოდ მათ, არამედ სხვა უამრავ ადამიანს. ზედმეტი რაიმე ამოტივტივდა ევროკავშირის სპეცსამსახურებს უფლებები და მცველებს, პროფკავშირების აქტივისტებს — ეს კონსტიტუციისა და სხვა კანონების პირდაპირი დარღვევაა.

# რისთვის მოჰკვეთეს თავი მონარქისტს

## მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებების ჟურნალისტებს სპეცსამსახურები უთვალთვალდნენ



აქვე ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულებების, კონტრადაზვირება უსმენს და უთვალთვალდა. რისთვის? თავისუფლად აზროვნებისა და „გრძელი ენისთვის“.

კონტროლის პროგრამა 2016 წელს ამოქმედდა და დღეს ის 50 ათასამდე სატელეფონო ნომერს მოიცავს. იმ პირებს შორის, რომლებსაც

სპეცსამსახურები უსმენდნენ და უთვალთვალდნენ, არიან ბრიტანული გამოცემა Guardian-ის, ახალი ამბების სააგენტოების — AFP-ის, Reuters-ის, გაზეთების — The New York Times-ის, Le Monde-ს, El Pais-ის ჟურნალისტები, აგრეთვე, ტელეარხების — CNN-ის, Radio Free Europe-ს, Sender Al-Dshasira-ს კორესპონდენტები.

სებულება, რომელიც აწარმოებს ჯაშუშებისთვის განკუთვნილ მონაცემებს მხოლოდ სოლიდური მყიდველებისთვის — სპეცსამსახურებისა და სახელმწიფო დაწესებულებებისთვის.

ისრაელის პროდუქტს უპირატესობა აქვს ანალოგებთან შედარებით. ის ადვილად ძლევს ქსელური ოპერატორების მიერ თავიანთი სატელეფონო არხებისთვის შექმნილ ფიფქს, მაგალითად, WhatsApp-ის ან Signal-ის.


„პეგასის“ ეფექტიანობის დონე ისეთი მაღალია, რომ ის სპეციალისტების მიერ შეფასებულია, როგორც ყველაზე მონიწივე მონაცემთა ელექტრონული ჯაშუშების სფეროში და კიბერიარადიდ ითვლება.

წამყვანი ევროპული მედიასაშუალებების მფლობელები ცდილობენ, სკანდალი დუმის ფარდის ჩამოფარებით მიაჩუმათონ, მაგრამ ნათქვამია, კალმით დაწერილ ნაჯახით ვერ ამოიშობი. ჩვენ, ალბათ, ვინილავთ ევროპის ქვეყნების პარლამენტაში ოპოზიციის მოთხოვნებს ამ საკითხის განხილვის შესახებ, აგრეთვე, დაზარალებულთა მიერ სასამართლოში შეტანილ სარჩებებს, მაგრამ საეჭვოა, ამან რამე შეცვალოს არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას.

დროა, დავსვათ რიტორიკული კითხვა: რისთვის მოჰკვეთეს თავი რენე დე ლონეს? თავგადაკულნი მონარქისტები ხომ მართალი იყო: თქვენ არ გაქვებოდათ არც თავისუფლება, არც თანასწორობა და არც ქმობა!

fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელიძე

**ეს ადამიანები ბრაფიტის უცნობი შემთხვევები რომ ყოფილიყვნენ, კიდევ არაფერი, მაგრამ ისინი არიან ცნობილი ჟურნალისტები ისეთი პოპულარული გაზეთებისა, როგორებიც არის «ზიუდლოიჩე სანიტუნი», «სანიტი», «ბარდინი», ამერიკული «ვაშინგტონ პოსტი», გერმანული ტელეარხები NDR-ი, WDR-ი და კიდევ სხვა 15 რადიოცენტრი, რომლებმაც გამოაქვეყნეს ბაიოპროფილის შედეგები, რომ არანაირი ქმობა, მით უმეტეს თანასწორობა და თავისუფლება ევროპაში არ არის, არამედ არის ნებისმიერ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანზე ტოტალური კონტროლი**







# დამსახურება

www.geworld.ge  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლიტიკური განხეთქილებისა და კულტურული ფასეულობების მემკვიდრეობის გამოვლენის მიზნით პირობები აშშ-ის სამხრეთში მცხოვრები რესპუბლიკელების 2/3-სა და დასავლეთ სანაპიროს მკვიდრი დემოკრატების ნახევარს ქვეყნიდან გამოყოფა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნა სურს.**



აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის კვლევითი ორგანიზაციების — BrightLine Watch-ისა და YouGou-ის გამოკითხვის შედეგები სენსაციური აღმოჩნდა: აშშ-ის სამხრეთში მცხოვრები რესპუბლიკელების 66%-სა და დასავლეთ სანაპიროს მკვიდრი დემოკრატების ნახევარს სურს, რომ აშშ-ს გამოეყო.

მთავარი დასკვნა, რომელსაც ამ გამოკვლევის ავტორები აკეთებენ, არის ის, რომ რესპუბლიკელთა ელიტები უფრო აქტიურად აღვივებენ სეპარატისტულ ვენებს, ვიდრე მათი კოლეგა-დემოკრატები — 2020 წელს რესპუბლიკური პარტიის ოფიციალური პირები და კანონმდებლები ტეხასში, ვაიომინგში, ფლორიდაში, მისისიპისა და მიჩიგანში საჯაროდ განიხილავდნენ აშშ-დან გასვლის საკითხს.

**მოთქვას საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.**

ექსპერტთა გამოკითხვის მთავარი დასკვნა არის შემდეგი: მკაცრი საინფესტიციო პოლიტიკა, უზენაესი სასამართლოს ბლოკირება ან სასამართლოში მოსამართლეების კანდიდატურების ბლოკირება, ამომრჩევლებზე ზემოქმედება, ფლიბუსტიერი (სენატორების მიერ ტრიბუნის მიტაცება სიტყვიერ ხშირად გამოსვლის გზით) — კანონპროექტების განხილვა, არჩევნების შედეგების დამტკიცებაზე და ა.შ.

ექსპერტები სერიოზულ საფრთხეს ხედავენ იმ კანონპროექტებში, რომლებიც ხელს უწყობს ადგილობრივი არჩეული თანამდებობის პირების პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და ზღუდავს ფოსტის მემკვიდრეობის მიცემას.

მოხსენებაში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ პოლიტიკური განხეთქილებისა და კულტურული ფასეულობების გამოვლენის მიზნით პირობები აშშ-ის სამხრეთში მცხოვრები რესპუბლიკელების 2/3-სა და დასავლეთ სანაპიროს მკვიდრი დემოკრატების ნახევარს შეეხოდა.

ექსპერტთა აზრით, ეს ვითარება პოტენციურად სახიფათოა ამერიკული დემოკრატიული ნორმებისა და ინსტიტუტებისთვის და, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია, შეცნობიერება ხაზგასმით აღნიშნონ ეს რისკები ჩვენი მმართველობის სისტემისთვის", — ნათქვამია გამოკვლევის შედეგებისადმი მიძღვნილ მოხსენებაში. ვითარების შესასწავლად BrightLine Watch-მა და YouGou-მა ერთ ჯგუფში გააერთიანეს პოლიტოლოგები ადემოკრატიული პრაქტიკის, მისი შედეგებისა და პოტენციური საფრთხეების მონიტორინგისთვის, შემდეგ კი, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მოხსენება გამოაქვეყნეს.


წინასწარ უნდა ითქვას, რომ გამოკვლევის შედეგებმა ძალიან შეაშფოთა ქვეყნის მთელი მოსახლეობა, რომელიც აშშ-ის სამხრეთში მცხოვრები რესპუბლიკელების 66%-სა და დასავლეთ სანაპიროს მკვიდრი დემოკრატების ნახევარს შეეხოდა.

აი, რა წერია მოხსენებაში: „როცა ქვეყანას 245 წელი უსრულდება, ამერიკელებს აქვთ თავიანთი დემოკრატიის მდგრადობის გამო შეშფოთების მიზეზი. 2021 წლის ივნისში ჩვენ შერჩევით გამოკითხვით რიგითი ამერიკელები და პოლიტოლოგები აშშ-ში დემოკრატიის შედეგებზე, საფრთხეებზე, რომლებსაც ის ეჯახება და იმის შესახებ, როგორ და რა გზებით უნდა გადაწყვიტონ პოლიტიკოსებმა ეს საკითხები. ჩვენ აღმოვაჩინეთ ღრმა პარტიული პოლარიზაცია წარმოდგენებში იმის შესახებ, რა არის სწორი და რა არასწორი ამერიკული დემოკრატიაში, და იმ ნაბიჯებზე, რომლებიც უნდა გადაიდგას, ეს ყველაფერი რომ გამოსწორდეს. ამას გარდა, ექსპერტებმა შეშფოთება გა-

# აშშ-ში აკვეთრად მოიხატა სეპარატისტულმა განწყობებმა



**სამხრეთითა 44% მხარს უჭერს აშშ-დან გასვლას, დასავლეთ სანაპიროზე (რომელიც, აგრეთვე, მოიცავს ალასკას და ჰავაის კუნძულებს) აშშ-დან გასვლის მომხრეა აპარიკალთა 39%, მაგრამ დემოკრატებს შორის ეს მაჩვენებელი გაცილებით დიდია — 47%, რესპუბლიკელების ეს მაჩვენებელი კი 27%-ს არ აღემატება, დამოუკიდებელთა რაოდენობა 33%-ია, აშშ-ის სამხრეთი, აგრეთვე, დასავლეთი სანაპირო აშშ-ის ის ორი რეგიონია, რომლებშიც დამოუკიდებლობის მომხრე ადამიანების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ქვეყნის სხვა ნაწილებში.**



მედს სურს, აშშ-დან გასვლა, ამის მსურველია რესპუბლიკელთა 43%, დამოუკიდებლების — 35%, დემოკრატები კი მხოლოდ 17%-ს შეადგენენ.

BrightLine Watch-მა ამ ციფრებს „დამორჩენველი“ უწოდა, უზენაესი სასამართლოში კი — „ყველაზე საგანგაშო მონაცემები, რაც კი ბოლო პერიოდში უნახავს“. ინტერნეტით, გამოყოფის მომხრე ამერიკელთა უმრავლესობა უფრო „პარტიულ სიგნალებს“ გზავნის. მისი აზრით, ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც გამოყოფის მომხრეთა რაოდენობა მეტია რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებში, არის ის, რომ ქვეყანაში „პარტიული ელიტები უპასუხისმგებლოდ უწყობენ ხელს არაჯანსაღი პროცესის განვითარებას“.

მაგრამ ინტერნეტით უფრო მეტად არ მიუყვება აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე დემოკრატიებისა და დამოუკიდებლობის დიდ რაოდენობაზე, რომლებიც, აგრეთვე, მხარს უჭერენ აშშ-დან გასვლას, აშშ-ის ცენტრში მცხოვრები ამერიკელები ყველაზე ემყოფილები არიან, მაგრამ გამოყოფის მომხრეთა რაოდენობა აქაც არ არის ცოტა — 30%.

აშშ-ში სეპარატისტული განწყობა უახლოეს ხანში, როგორც ჩანს, არ შემცირდება. BrightLine Watch-ი აღნიშნავს, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მოიმატა დონალდ ტრამპის მომხრეთა რაოდენობა, რომლებიც ჯო ბაიდენის პრეზიდენტად არჩევის პროტესტის ნიშნად 6 იანვარს შტურმით შეიჭრნენ კაპიტოლიუმში.

უნდა ითქვას, რომ მსგავსი გამოკითხვები საკმაოდ ხშირად ტარდება, რაც შესაძლებლობას იძლევა, მიღებული მონაცემების საფუძველზე განისაზღვროს ტენდენციები. რა თქმა უნდა, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების აღიარებით ლგბტ თემების ლეგალიზაციის მცდელობები, რასობრივი არეულობები (განსაკუთრებით სამხრეთით მდებარე შტატებში), თეთრი სახლის საგარეო პოლიტიკის საერთო იმედგაცრუება — ეს ის „აგურები“ა, რომლებიც შენდება ამერიკელების სეპარატისტიზმში.

აშშ-ის ისტორიაში ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ამერიკელებს სურთ, რამდენიმე სახელმწიფოდ დაიყონ. ამ მხრივ ყველაზე დასამახსოვრებელი იყო 1860-იანი წლები, როცა სამხრეთის შტატები — სამხრეთი კაროლინა, მისისიპი, ფლორიდა, ტეხასი, ალაბამა, ვირჯინია, ლუიზიანა, ჯორჯია, ტენესი, არკანზასი და მისისიპი — გამოეყვნენ ფედერაციას და ამერიკის კონფედერაციული შტატები შექმნეს, ამან კი სამოქალაქო ომი გამოიწვია.

russtrat.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი ბანაილაძე

**გამოკვლევის შედეგებმა ძალიან შეაშფოთა ქვეყნის მთელი მოსახლეობა, რომელიც აშშ-ის სამხრეთში მცხოვრები რესპუბლიკელების 66%-სა და დასავლეთ სანაპიროს მკვიდრი დემოკრატების ნახევარს შეეხოდა.**

**ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების აღიარებით ლგბტ თემის ლეგალიზაციის მცდელობები, რასობრივი არეულობები (განსაკუთრებით სამხრეთით მდებარე შტატებში), თეთრი სახლის საგარეო პოლიტიკის საერთო იმედგაცრუება — ეს ის «აგურები»ა, რომლებიც შენდება ამერიკელების სეპარატისტიზმში.**

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლოებით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურიტ, მკვლელობით, შუღლით, ვერაბობით, უზნეობითა და მახეზღარობით. ცილისმნამაზღენი, ღვთის მოქულენი, შურაცხმყოფენი, ამპარტავანენი, მკვეხარენი, ბოროტბამზარხველენი, მშობლების ურჩენი.  
(მოციქულ პავლეს წერილი რომელთა მიმართ, 1,29-30)



### ელექტრონიკა — ახალი სიტყვა პედიგინაში...

ამერიკულ სკოლას ნება დართეს, უმკურნალოს და აღზარდოს მოსწავლეები ელექტრონიკით. „აღმოჩენის“ გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღო.  
ელექტრონიკის გამოყენებები აგრესიული მოსწავლეების წინააღმდეგ.  
„ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძობთ ჩვენი ახლო მოსახლის სიცოცხლის დასაცავად... მკურნალობის ამ მეთოდის გამოყენებით უკიდურეს შემთხვევაში“, — განაცხადეს მოსწავლეთა მშობლებმა სააპელაციო განცხადებაში, — რადგან ზემოქმედების სხვა საშუალება აგრესიული ბავშვების მი-

მართ არ არსებობს. როტენბერგის ცენტრი ერთადერთი სკოლაა აშშ-ში, რომელიც თავის მოსწავლეთა მიმართ ელექტრონიკის გამოყენებას იგი არაერთხელ გააკრიტიკეს ინვალიდების უფლებათა დამცველებმა, მათ შორის ინვალიდთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ და გაერომ, მაგრამ უშედეგოდ.  
თავის ვებსაიტზე სკოლა ამტკიცებს, რომ იგი ეფექტიან განათლებას და მკურნალობას თავაზობს მოსწავლეებს, რომლებსაც დარღვეული აქვთ ემოციურ-ქცევითი ნორმები და გამოირჩევიან ფსიქიატრიული პრობლემებით, — იუნება Independent.



### ქიდავ ერთმა მოღალა დაადანაშაულა მენსონი კალაძობაში

ეს მოდელი ემლი მორგან სმიტლიანია. მან უჩივლა ამერიკულ მომღერალ მერილინ მენსონს (ბრაიან ჰიუ უორნერს) ადამიანებით ვაჭრობის გამო. ქალიშვილი იყო რიგით მეთოხე მომჩივანი, რომელმაც მუსიკოსის წინააღმდეგ გაილაშქრა, — იუნება Bolling Stone.  
სმიტლიანმა აღიარა, რომ ორი წლის განმავლობაში მენსონი მასზე ძალადობდა. ქალიშვილის თქმით, მენსონი ორი წლის განმავლობაში სცემდა რეგულარულად, დანით აყენებდა ჭრილობებს, ასევე აიძულებდა, ეტარებინა შავი საცვალე კინოსტუდიის შენობაში. აუპატიურებდა მძინარეს. გაუტყუებდა ცხვირს და ა.შ. მათ შორის ახლო ურთიერთობა 2010

წლიდან 2013 წლის დასაწყისამდე გრძელდებოდა.  
გავრცელებულ ინფორმაციაში ხაზგასმულია, რომ მენსონი სმიტლიანს ფსიქოლოგიურად თრგუნავდა. ქალიშვილის ჩვენებით, მუსიკოსი ინახავდა მის შიშველ ფოტოებს, რომლებსაც შანტაჟისტების იყენებდა.  
ცნობილია, რომ მენსონის სადიზმზე ლაპარაკობდა სერიულ „ველური დასავლეთის ვარსკვლავი“ ევან რიჩიუ პუდრი. იგი აღნიშნავდა, რომ მუსიკოსმა მას „ტვინი გამოურევცა“ და „აიძულა, დამორჩილებოდა“. მენსონს უჩივლა ინგლისელმა მსახიობმა მსემ ბინანკომაც, ბრალად წაუყენა გაუპატიურება და სექსუალური ხასიათის ქმედება.

# ნეოლიბერალური უნებობა

## კანის კინოფესტივალზე ჯანსაღი არაჰინ დარჩა



დაავადნენ მაყურებლები ახალი ფილმის ნახვის შემდეგ, იმდენად ძნელი აღსაქმელი გახდა რეჟისორ შიშული დიშპორნოს ახალი სურათი. რამდენიმე ათეული მაყურებელი ისე ცუდად შეიქნა, რომ საჭირო გახდა სასწრაფო საექიმო დახმარების გამოძახება.  
დიუკორნოს ფილმი არის სისხლი, ძალადობა, დაკვირვებითი მკვლევარები, ორგანიზაციები, რომლებშიც მონაწილეობს მთავარი გმირი მამაკაცი, იგივე ქალი — ტრანსგენდერი.  
მეორე ფილმი „გარდატეხა“ საფრანგეთის ჯანდაცვის სისტემის კრიზისზეა, რომელიც დაემთხვა იმდროინდელ „ჟაკერის“ — ყვითელი ჟილტვების“ მანიფესტაციას.  
პარიზელი უზრუნველყოფითი ბურჟუაზიის წევრი, რომელიც მიჩვეული იყო კერძო კლინიკების ხვედრდევან მომსახურებას, პარიზის სახელმწიფო სტაციონარის ჯოჯოხეთში აღმოჩნდება. ეს ფილმი ერთი შეხედვით, მორიდებული „სოციალური“ სურათია.  
მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.  
ბურჟუაზიის წევრი ლესბოსელები არიან. მკურნალი, უფრო ზუსტად — მედა, რომელიც ერთ-ერთ ქალს ამქვეყნიური უბედურებიდან გამოვარსკვლავი“ ევან რიჩიუ პუდრი. იგი აღნიშნავდა, რომ მუსიკოსმა მას „ტვინი გამოურევცა“ და „აიძულა, დამორჩილებოდა“. მენსონს უჩივლა ინგლისელმა მსახიობმა მსემ ბინანკომაც, ბრალად წაუყენა გაუპატიურება და სექსუალური ხასიათის ქმედება.

ტის — შაპ ოდინარის ფილმი „პარიზი, მე-13 ოლქი“. ქალს უყვარს კაცი (გაიხიარეთ!), მაგრამ იმას იგი უყვარს, რადგან უყვარს სხვა (დავიბნით!), და კიდევ, მას უყვარს მესამე იგი (დავითრგუნეთ!). აი, ეს მესამე იგი პირველზეა უყვარებული.  
ოდინარი, რომელიც კინოში სახელგანთქმული მამის, მიშელ ოდინარის, კვლავ გამხვავა, ჯერ რომან პოლანსკისთან მემორტაჟედ მუშაობდა, ფილმ „პროფესიონალის“ (ბალმონდო რომ მონაწილეობს) სცენარის თანავტორი იყო, ამჯერად პოლიამორულ (მრავალსქესიან სიყვარულზე) გადაერთო.  
ფილმები, რომლებიც ზემოთ დავასახელეთ, ღონისძიების ორგანიზატორების მიერ შეჩვენებული საუკეთესო სურათებია. მთავარ კონკურსში მონაწილე ფილმი ამა თუ იმ რაკურსით ლგბტ (ამჯერად ანბანის კიდევ რომელიღაც ასო დაუმატეს ამ აბრევიატურას, მგონი „ქ“, მაგრამ რას ნიშნავს, ვერ ვეტყვი) თემის ცხოვრებას აღწერს.  
ასეთი სურათების რაოდენობა კონკურსში მონაწილე ფილმების ერთი მოთხენია და პრაქტიკულად მიგვანიშნებს იმ ტენდენციაზე, რომელიც კინემატოგრაფში დღეს არის დამკვიდრებული და რამდენიმე წლის პერსპექტივაშიც უცვლელად დარჩება.  
